სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

03 სექტემბერი 2026

N 634/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

გარდაბნის მუნიციპალიტეტში შპს „ჯი სი ჯი“-ს ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ჯი სი ჯი“-ს მიერ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ – გზშ) ანგარიშის წარდგენის საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო), კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე, წარმოდგენილი იქნა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის (ასფალტის წარმოება) ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის განცხადება.

2016 წლის 30 დეკემბერს შპს „ჯი სი ჯი“-ს ასფალტის წარმოებაზე გაცემულია №68 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომლის საფუძველზეც, 2019 წლის 21 ივნისს, კოდექსის 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-581).

2019 წლის 7 აგვისტოს და 2026 წლის 16 იანვარს ზემოაღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებებზე ასევე გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილებები (ბრძანება №2-759 და №18/ს), რომელთა საფუძველზეც ექსპლუატაციის პირობების ცვლილებები გზშ-ს არ დაექვემდებარა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული ასფალტის საწარმო გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ მარტყოფში მდებარეობს და შპს „ჯი სი ჯი“-ს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს მოიცავს (ს/კ: 81.10.28.593, 81.10.28.592, 81.10.28.623, 81.10.28.591; ფართობი: 31 472 მ^2). ასფალტის საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია შემდეგი ძირითადი ინფრასტრუქტურა: გერმანული წარმოების „BENNINGHOVEN“-ის (ECO-2000) კონტეინერული ტიპის ასფალტშემრევი დანადგარი (120 ტონა/სთ); „TT 8,20 E“ ტიპის საშრობი დოლი; მტვერშემკრები სისტემა; 6 ერთეული ბიტუმის ავზი (ჯამურად – 350 მ^3); 2 ერთეული მინერალური ფხვნილის სილოსი (35 მ^3); 3 ერთეული მზა ასფალტის შესანახი ბუნკერი (ჯამურად – 60 ტონა); 2 ერთეული სასმელ-სამეურნეო წყლის რეზერვუარი (თითოეული – 10 ტონა); სახანძრო წყლის რეზერვუარი; „Biotal“-ის ტიპის სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების გამწმენდი დანადგარი; ნავთობდამჭერი (სეპარატორი); ინერტული მასალის საწყობი; საოპერატორო; სამორიგეო ჯიხური; საოფისე შენობა; სარემონტო შენობა; სატრანსფორმატორო; სასწორი; სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი ტექნოლოგიური ხაზი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ასფალტის საწარმოს ტერიტორიის ჩრდილოეთით გადის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზა (ს-5), ხოლო აღმოსავლეთით – საქართველოს რკინიგზა. ასფალტის საწარმოს ტერიტორიის სამხრეთით უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მშრალი ხევი ფიქსირდება, ხოლო აღმოსავლეთით, დაახლოებით 300 მეტრში – უახლოესი საცხოვრებელი სახლი (ს/კ: 81.10.28.161). ასფალტის საწარმოს ტერიტორიის 500-მეტრიან რადიუსში შპს „სატურნი 2006“-ის ნავთობპროდუქტების საცავი (ს/კ: 81.10.28.295) და შპს „ბილდკინგს“-ის (ყოფილი შპს „ბელ-ბაუ“) ასფალტის საწარმოა (ს/კ: 81.10.27.730) განთავსებული.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, შპს „ჯი სი ჯი“ გეგმავს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებას, რაც არსებულ ასფალტის საწარმოში პოლიმერული ბიტუმის წარმოების (მოდიფიცირების) დანადგარის დამატებას, ასფალტის ნარევის წარმოების პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, ადჰეზიური დანამატის გამოყენებას და დიზელის საწვავის სამარაგო ავზის მოწყობას გულისხმობს. კერძოდ, ასფალტის ნარევის წარმოების ტექნოლოგიურ პროცესში ასფალტის დამზადების რეცეპტურა უმნიშვნელოდ შეიცვლება და საჭიროების შემთხვევაში, პოლიმერული დანამატებით მოდიფიცირებული ან/და ადჰეზიური დანამატით დამუშავებული ბიტუმი იქნება გამოყენებული. აღნიშნული ცვლილება საბოლოო პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას ემსახურება და საწარმოს წარმადობის, ძირითადი ტექნოლოგიური პროცესის ან საქმიანობის ხასიათის არსებით ცვლილებას არ უკავშირდება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით, პოლიმერული ბიტუმის წარმოებისთვის ასფალტის საწარმოში დანიური წარმოების (ENH Engineering A/S) პოლიმერული ბიტუმის მოდიფიცირების დანადგარი (ENH MOBILE PMB INLINE MIXER) დამონტაჟდება, რომლის საპროექტო წარმადობა საათში 20 ტონას შეადგენს. აღნიშნული დანადგარი წელიწადში 125 დღე, დღეში 8 საათი იმუშავებს და მისი წლიური წარმადობა 20 000 ტონა იქნება. პოლიმერული ბიტუმის წარმოება ბიტუმის მოდიფიცირების პროცესს წარმოადგენს, რომლის დროსაც ბიტუმს პოლიმერი დაემატება. პროცესი სრულად ავტომატიზებული იქნება, თუმცა, შესაძლებელია ხელით მართვაც. ასფალტის საწარმოს ბიტუმის ავზებში განთავსებული ბიტუმი, ტუმბოს საშუალებით, მასურ ხარჯმზომს გაივლის და სტატიკურ შემრევ დანადგარში (15 $მ^3$/სთ) გადაიტვირთება, სადაც პლასტიფიკატორი დაემატება და პირველადი შერევის პროცესი განხორციელდება. ბიტუმისა და პლასტიფიკატორის ნარევი, სტატიკური შემრევის გავლის შემდგომ, ვერტიკალურ ცილინდრულ შემრევ ავზში (400 ლ) გადავა, სადაც პოლიმერი დაემატება და კვლავ შერევის პროცესი განხორციელდება. შერეული მასა მოდიფიკაციის დანადგარში გადაინაცვლებს და როტორ-სტატორის სისტემა ნარევის სრულ ჰომოგენიზაციას უზრუნველყოფს. სისტემაში ინტეგრირებულია მძლავრი თბომცვლელი, რომელიც ტემპერატურის მართვას 155-180^{0}C-მდე უზრუნველყოფს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით, ასფალტის ნარევის წარმოების ტექნოლოგიურ პროცესში ასფალტის დამზადების რეცეპტურის უმნიშვნელო ცვლილება გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში ადჰეზიური დანამატის გამოყენებას, ასევე სხვადასხვა ფუნქციური დანამატის (მათ შორის, გრანულატის, ცელულოზის/ბოჭკოს და სხვა სპეციალური დანამატების) ასფალტის ნარევში დამატებას. ასფალტის საწარმოსთვის ადჰეზიური დანამატის მიწოდება გათვალისწინებულია ბიტუმის მიმწოდებელ მილსადენში, ბიტუმის ასაწონ სასწორში გადატანამდე. დანამატის შერევის შემდეგ ბიტუმი სასწორზე გადავა და აწონვის შემდგომ ასფალტშემრევ დანადგარში ჩაიტვირთება, სადაც ასფალტის ნარევის დამზადების ტექნოლოგიური პროცესი მიმდინარეობს. ადჰეზიური დანამატის წლიური მაქსიმალური მოხმარება 80,5 ტონას შეადგენს, ხოლო ბიტუმის წლიური მოხმარების რაოდენობა უცვლელი დარჩება. სხვა ფუნქციური დანამატები,

საჭიროების შემთხვევაში, 800 კგ ტევადობის ბუნკერიდან უშუალოდ ასფალტშემრევ დანადგარს მიეწოდება. აღნიშნული დანამატების ჯამური წლიური მოხმარება 1 000 ტონას შეადგენს.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით ცემენტის საწარმოში გათვალისწინებული დიზელის საწვავის სამარაგო რეზერვუარი განკუთვნილი იქნება დიზელზე მომუშავე დამხმარე ტექნიკის (დამტვირთველი) საწვავით მომარაგებისთვის. აღნიშნული რეზერვუარის მოცულობა 750 ლიტრი იქნება და იგი ერთი საწვავის გასაცემი პისტოლეტით აღიჭურვება. დიზელის საწვავის წლიური მაქსიმალური მოხმარება 45 000 ლიტრს შეადგენს.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილება ასფალტის საწარმოს წყალმომარაგების და ჩამდინარე წყლების მართვის საკითხების ცვლილებას არ უკავშირდება. შპს „ჯი სი ჯი“ საქმიანობას ახორციელებს 2026 წლის 21 აპრილს სააგენტოსთან შეთანხმებული ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების პროექტით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ასფალტის საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ადგილი აქვს მავნე ნივთიერებების, კერძოდ, აზოტის დიოქსიდის, ნახშირბადის ოქსიდის, ნაჯერი ნახშირწყალბადების (C_{12}-C_{19}), მყარი ნაწილაკების, ასევე არაორგანული მტვრის წარმოქმნას და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. დოკუმენტში, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით, წარმოდგენილია ასფალტის საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებების გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები, აგრეთვე, აღნიშნულ წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. კუმულაციური ზემოქმედების შესაფასებლად, გაბნევის გაანგარიშებაში ფონურ მაჩვენებლად აღებულია 500-მეტრიან რადიუსში არსებული ობიექტებიდან (ნავთობპროდუქტების საცავი და ასფალტის საწარმო) მოსალოდნელი გაფრქვევები. მიღებული შედეგებით, ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია უახლოეს მოსახლესთან კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ ნორმებს არ აჭარბებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ასფალტის საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ხმაურის წარმოქმნისა და გავრცელების ძირითადი წყაროა ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული ასფალტის წარმოების დანადგარ-მექანიზმები, სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარი, პოლიმერული ბიტუმის საწარმოო დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები. დოკუმენტში, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით, წარმოდგენილია ასფალტის საწარმოს ფუნქციონირების პროცესში მოსალოდნელი ხმაურის გავრცელების პროგრამული მოდელირება, რომელიც შესრულებულია კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით. მიღებული შედეგებით უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მოსალოდნელი ხმაურის დონე 45,9 დბA-ს შეადგენს და საკონტროლო წერტილში კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობებს არ აჭარბებს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ასფალტის საწარმოს საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმით ხორციელდება, რომელიც 2026 წლის 25 მარტს შეთანხმებულია სააგენტოსთან. დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილება ასფალტის საწარმოს საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების სახეობების, კლასიფიკაციის და წლიური საორიენტაციო რაოდენობების ცვლილებას არ ითვალისწინებს და ზემოაღნიშნულ გეგმაში მოცემული მონაცემები უცვლელი დარჩება.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ასფალტის საწარმოს ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ექსპლუატაციის პირობის ცვლილება დაგეგმილია არსებული ასფალტის საწარმოს მაღალი ანთროპოგენური დატვირთვის მქონე ტერიტორიაზე და საპროექტო ტერიტორიის გაფართოებას/ახალი ტერიტორიის ათვისებას არ ითვალისწინებს.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით (ექსპლუატაციის პირობის ცვლილება) წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპლუატაციის პირობის ცვლილების კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტში შპს „ჯი სი ჯი“-ს ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ **გზშ-ის ანგარიშის წარდგენას არ საჭიროებს**.

2. შპს „ჯი სი ჯი“ ვალდებულია, საქმიანობა განახორციელოს 2019 წლის 21 ივნისს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-581) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით.

3. შპს „ჯი სი ჯი“ ვალდებულია, ექსპლუატაციის პირობის ცვლილებამდე, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს:

   ა) განახლებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის სააგენტოსთან შეთანხმება;

   ბ) განახლებული ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის გეგმის სააგენტოსთან შეთანხმება.

   დ) საქმიანობის სს „საქართველოს რკინიგზა“-სთან შეთანხმება.

4. შპს „ჯი სი ჯი“-სთვის ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2019 წლის 21 ივნისს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-581) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა.

5. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჯი სი ჯი“-ს.

6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჯი სი ჯი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

7. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/634-21-4-202609030919